გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 89

14 07 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 ივლისის N2019-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივლისის სხდომის N12 ოქმის მე-4 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 ივლისის N03/4456 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 ივლისის N2019-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ქალაქ მარნეულში, 20 იანვრის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრირებულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.13.007 მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, 20 იანვრის ქუჩა N 2გ.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი